



მიტროპოლიტი ილარიონი: სული წმიდა – ქრისტიანული სულის მთავარი საუნჯეა



2021 წლის 1 აგვისტოს, სულთმოფენობიდან მე-6 კვირაკეს, ექვსი მსოფლიო კრების წმინდა მამებისა და ღირსი სერაფიმე საროველი საკვირველთმოქმედის წმინდა ნაწილების მოპოვების ხსენების დღეს, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა საღვთო ლიტურგია აღასრულა მოსკოვის „ყოველთა მწუხარეთა სიხრულის“ ხატის სახ. ტაძარში ბოლშაია ორდინკაზე.

მწყემსთმთავარს თანამსახურება გაუწიეს ტაძრის კლირიკოსებმა.

საგანგებო კვერეხზე აღვლენილ იქნა ლოცვითი ვედრება კორონოვირუსული ინფექციისგან დასახსნელად.

საგანგებო კვერექის შემდეგ მიტროპოლიტმა ილარიონმა აღავლენა ლოცვა, რომელიც მოარული სენის გავრცელების დროს იკითხება.

საღვთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ მწყემსმთავარმა დამსწრე მრევლს ქადაგების სიტყვით მიმართა:

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა!

ყველა თქვენგანს, ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, ვულოცავ აღდგომის სწორ დღეს, აგრეთვე ხსენების დღეს ღირსი და ღმერთშემოსილი მამისა ჩვენისა, სერაფიმე საროველი საკვირველთმოქმედისა.

ეს დიდი რუსი წმინდანი გამობრწყინდა XIX ს-ს დასაწყისში, იმ დროს, როდესაც ჩვენს წმინდა რუსეთში უკვე მოქმედებდნენ სხვადასხვაგვარი რევოლუციონერებიც, ხალხის ლიბერალური სულით განათლების მსურველებიც და ისინიც, ვინც ამბობდნენ, რომ ბედნიერება ეკლესიურ ცხოვრებაში კი არ მდგომარეობს, არამედ, პროგრესში, წინ – ლიბერალური და ევროპული ღირებულებებისკენ მოძრაობაში.

იმ ეპოქაში, როდესაც რუსეთს თავისი გზა უნდა აერჩია, გამოჩნდა ღირსი სერაფიმე – როგორც წინასწარმეტყველი, რომელიც ღმერთმა გამოგზავნა ხალხისთვის ცხოვრების გზისა და მარადიული ცხოვრების საუნეებლად, რომ მიეთითებინა მათთვის, თუ საით უნდა წასულიყვნენ, რათა გადარჩენილიყვნენ.

ღირსი სერაფიმე ამბობდა, რომ ქრისტიანულიცხოვრების მიზანი ღვთის წმიდა სულის მოხვეჭაა, მაგრამ ყველას არ ესმოდა, თუ რას ლაპარაკობდა წმინდანი.

ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე მოტოვილოვიც კი, ვისთანაც ამ თემაზე ღირსი მამა საუბრობდა, უცებ ვერ მიხვდა, თუ რაზე მიდიოდა საუბარი. მაშინ ღირსმა სერაფიმემ მას აუხსნა: ადამიანთა მთელი ცხოვრება იმაში მდგომარეობს, რომ გამუდმებით რაღაცას იძენენ, ადამიანების მთელი ცხოვრება დაკავშირებულია ყიდვა-გაყიდვის პროცესთან. ხალხი იძენს საცხოვრებელს, მატერიალურ კეთილდღეობას, საკვებ პროდუქტებს... ამას, რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვებით ვყვები, რაც ღირსმა სერაფიმემ მოტოვილოვს აუხსნა. მაგრამ ყველაზე მთავარი შენაძენი, რაც შეიძლება ადამიანმა მოიპოვოს – ეს არის ღვთის წმიდა სული.

ქრისტიანულ ცხოვრებაში, – ამბობდა ღირსი სერაფიმე, – ბევრი რამაა აუცილებელი: ლოცვა, მარხვა, მღვიძარება და ღვთის მცნებების შესრულება. ღირსმა მამამ თავად გაატარა ქვაზე მუხლმოდრკილმა

ლოცვებში ათასი დღე და ღამე. იგი ისეთი თავშეკავებით გამოირჩეოდა, რომ თანამედროვეებს უკვირდათ, როგორ ძლებდა მისი სული კიდევ სხეულში. მაგრამ ყველაფერი ეს, – ამბობდა სერაფიმე საროველი, – არ არის ქრისტიანული ცხოვრების მიზანი, არამედ მხოლოდ დამხმარე საშუალებებია. მიზანი კი წმიდა სულის მოხვეჭაში (მოპოვებაში) მდგომარეობს.

როგორ შეუძლია ადამიანს, სულიწმიდის მოხვეჭა? ამას იმ შემთხვევაში შეძლებს, თუკი მთელს თავის ცხოვრებას ღმერთს მიუძღვნის, თუკი ყველა საკუთარ საქმეს უფალს შესწირავს, ჩვეულებრივ მინიერ საზრუნავსაც კი, და ყველაფერს ღვთის წინაშე წარადგენს. ეს შეიძლება ძალიან მარტივადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ იმავდროულად, ეს ძალიან ძნელიცაა, რადგან ჩვენი თავი და ჩვენი გული ხშირად სავესება ამსოფლიური საზრუნავებით. ჩვენ ერთ რამეს ვიძინებთ და მაშინვე ვინწყებთ ფიქრს მეორე ნივთის შეძენაზე. როგორც ადამიანები, რომლებიც სურათების ან ხატების, ანაც ანტიკვარიატის კოლექციას აგროვებენ. ისინი როგორც კი ერთ ნივთს მოიპოვებენ, მაშინვე მეორეს მისდევენ. იგივე ხდება ჩვენს ცხოვრებაშიც: როგორც ერთ რამეს შევიძინებთ, მაშინვე რაღაც სხვა მოგვინდება.

ღირსი სერაფიმე კი ამბობს, რომ ადამიანს მხოლოდ ერთი რამ სჭირდება: სულიწმიდის არსებობა მის ცხოვრებაში. თუკი ადამიანი ამ შენაძენს აკეთებს, მაშინ სხვა დანარჩენი, რაც სჭირდება, თავისთავად მიეცემა. შეიძლება სწორედ ამაზე ლაპარაკობდა უფალი იესო ქრისტე მარგალიტის შესახებ იგავში, როდესაც შეგვახსენა, რომ ყველაზე მთავარი ადამიანის ცხოვრებაში – ეს ღვთის სასუფეველია. რისი მსგავსია ცათა სასუფეველი? ის მსგავსია მარგალიტისა, რომელიც ადამიანმა მინდორში იპოვა, და ის რომ მოეპოვებინა, ამისათვის მთელი მინდორი შეისყიდა, რის გამოც მთელი თავისი ქონება გაყიდა. ასევე სულიწმიდაც იმ მარგალიტს წარმოადგენს, რომლის მოხვეჭაც მინდორთან ერთად, სადაც ის იმყოფება, ჩვენ ვიღებთ ყველაფერ აუცილებელს ჩვენი ცხოვრებისათვის.

მინდორი არის ქრისტეს ეკლესიის სახე-ნიშნები. სწორედ აქ იხვეჭს ადამიანი ღვთის წმინდა სულს: ეკლესიურ ცხოვრებაში, ღვთისმსახურებაში, ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებში და სხვა საეკლესიო საიდუმლოებებში მონაწილეობის გზით, და იმით, რასაც ბევრი უწოდებს ლიტურგიას ლიტურგიის შემდეგ, როდესაც ღვთისმსახურების დასრულების შემდგომ ერში გამოვდივართ, მაგრამ გული ჩვენი ღვთის მადლით სავსე რჩება. ჩვენ ვუბრუნდებით ჩვეულებრივ საერო საქმეებსა და საზრუნავებს, მაგრამ გულში ცხოვრებას განაგრძობს იესოს ლოცვა, და თავად უფალი ჩვენი იესო ქრისტეა იქ, სულიწმიდასთან ერთად, რომელსაც ის მამისგან უგზავნის თავის მონაფეებსა და მიმდევრებს.

სწორედ ამას გულისხმობდნენ ძველი აღთქმის წმინდა წერილის ავტორები, როდესაც ამბობდნენ, რომ ესა თუ ის ადამიანი დადიოდა ღვთის წინაშე. რას ნიშნავს ეს? ეს გვეუბნება იმას, რომ ეს ადამიანი მუდმივად ღვთის დასწრებას გრძნობს და ყოველივეს, რასაც უნდა აკეთებდეს, ჩვეულებრივ საქმეებსაც კი, ის ღმერთს უძღვნის. იგი ლოცულობს ყოველი საქმის წინ, მადლობს უფალს მისი დასრულების შემდეგ, მთელს ცხოვრებას აღიქვამს, როგორც ღმერთისთვის შესანიშნავს.

სწორედ ამისკენ მოგვინოდებს უფალი და უფლის კვალად ამაზე გვესაუბრება დიდი წმინდანი – ღირსი სერაფიმე საროველი. იცხოვრეთ ღვთის წინაშე წარდგომით, გახსოვდეთ, რომ უფალი ყოველთვის თქვენ გვერდითაა, ყველა თქვენი საქმე და შრომა მას მიუძღვნით. ილოცეთ გულში იესოს ლოცვით, მონაწილეობა მიიღეთ ეკლესიურ ცხოვრებაში და საეკლესიო საიდუმლოებებში. ეზიარეთ ქრისტეს წმინდა

საიდუმლოებებს. და უფალი თქვენთან იქნება, და სულიწმიდა თქვენში იქნება.

ვილოცოთ რუსეთის მიწის დიდი სათნოებოფელის მიმართ, ღირსი სერაფიმე საროველი საკვირველთმოქმედის მიმართ, რათა გვასწავლოს ღვთისსათნო ცხოვრების გზით სიარული, და გვაკურთხოს შემდგომ მოღვაწეობაზე. რათა თითოეულმა ჩვენგანმა მისი ლოცვებით მოიხვეჭოს მთავარი საუნჯე ქრისტიანის სულისა, მისი მთავარი მარგალიტი – ღვთის წმინდა სული. ამინ.

ყველა თქვენგანს ვულოცავ დღესასწაულს!“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური